

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი
 მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
 კურიკულუმი

ფაკულტეტის/სკოლის დასახელება	ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	6 სემესტრი, 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2007 წელს, განახლებულია 2020 წელს. პროგრამა განახლებადია ყოველ სასწავლო წლის დაწყებამდე.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	
დამატებითი პროგრამის არჩევა სტუდენტს შეუძლია საბაკალავრო საფეხურზე სწავლების მე-3 სემესტრიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.	
პროგრამის მიზნები	
პროგრამის მიზანია სტუდენტს შეასწავლოს უმაღლესი მათემატიკის ძირითადი დარგები, ამ დარგების ფუნდამენტური ცნებები და ამოსავალი კონცეფციები, აჩვენოს მათ შორის ორგანული კავშირები და მათი გამოყენების ფართო სპექტრი.	
სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)	
<ol style="list-style-type: none"> 1. კურსდამთავრებულს აქვს უმაღლესი მათემატიკის ზოგიერთი ფუნდამენტური კონცეფციის, ძირითადი მათემატიკური ცნებების, პრინციპებისა და თეორიების ფართო ცოდნა და შეუძლია მათ შორის არსებული ორგანული კავშირების იდენტიფიცირება; 2. კურსდამთავრებულს შეუძლია ზემოაღნიშნული საბაზისო ცოდნის ფარგლებში ამოცანათა ამოსახსნელად მათემატიკური მეთოდების შერჩევა და გამოყენება; 3. კურსდამთავრებულს აქვს დამტკიცების და ლოგიკური მათემატიკური მსჯელობის უნარი. 	
სწავლების მეთოდები	
<ul style="list-style-type: none"> • ლექცია; • სემინარი; • პრაქტიკული მეთოდი; • დისკუსია/დებატები; • დემონსტრირების მეთოდი; • ელექტრონული სწავლების ელემენტები. <p><i>სასწავლო კომპონენტების სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის განხორციელებისას შესაძლოა გამოიყენებოდეს სწავლების სხვა მეთოდებით, რომლებიც წარმოდგენილია კონკრეტული კურსების სილაბუსებში.</i></p>	
პროგრამის სტრუქტურა	
მათემატიკის დამატებითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი შემდეგი განაწილებით:	
<ol style="list-style-type: none"> 1. მათემატიკის პროგრამის სავალდებულო კურსები - 42 კრედიტი, მათ შორის: <ul style="list-style-type: none"> • შესავალი მათემატიკურ ანალიზში - 6 კრედიტი • მათემატიკის საფუძვლები - 6 კრედიტი • მათემატიკური ანალიზი I - 6 კრედიტი • მათემატიკური ანალიზი II - 6 კრედიტი • ანალიზური გეომეტრია I - 6 კრედიტი • უმაღლესი ალგებრა I - 6 კრედიტი 	

- ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა I - 6 კრედიტი
2. მათემატიკის პროგრამის სავალდებულო-არჩევითი კურსები - 18 კრედიტი

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

- (A) 91 - 100 ფრიადი
- (B) 81 – 90 ძალიან კარგი
- (C) 71 – 80 კარგი
- (D) 61 – 70 დამაკმაყოფილებელი
- (E) 51 – 60 საკმარისი
- (FX) 41 – 50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) 0 – 40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შეფასების კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სალექციო აუდიტორიები;
- სასწავლო ლაბორატორიები;
- კომპიუტერული კლასები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტი;
- გამოთვლითი ცენტრი;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“;
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა Moodle და მასში ინტეგრირებული პროგრამა Turnitin.
- symbolab.com
- MAXIMA - კომპიუტერული ალგებრული სისტემა.
- <https://www.latex-project.org/>